სანოტაროაქტი
საქართველო

ორი ათას ცხრამეტი წლის ცამეტ მარტს მე, ნოტარიუს თამარ ბაქრაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დიდი დიღომი ი.პეტრიწის ქუჩა № 16 მომმართა **ვაჟა მაისურაძემ**. მან განაცხადა, რომ არის **შპს „No12“-ს (ს/კ № 404406549) დირექტორი** და სურს **ზვიად სურგულაძის** მიმართ მინდობილობის შედგენა და ამ მინდობილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა სამოქალაქო რეესტრის ელექტრონული მონაცემთა ბაზის მეშვეობით და დავადგინე, რომ მე ნამდვილად **ვაჟა მაისურაძემ (დაბ.15.05.1972წელს, ლაგოდეხი, პირადი # 01030020185, რეგ. მისამართზე: თბილისი მ.ზიჩის ქ. N 9 ბ. 1ა)** მომმართა. მე ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, შემდეგ შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას. მან წაიკითხა ეს მინდობილობა და მკაფიოდ განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, ვაჟა მაისურაძე, როგორც შპს „No12“-ს (ს/კ № 404406549) დირექტორი შემდგომში წოდებული როგორც "მიმნდობი პირი" წინამდებარე მინდობილობით **ზვიად სურგულაძეს (დაბ.06.03.1980 წელს, თბილისი, პირადი # 01017010566)**, შემდგომში წოდებული როგორც "მინდობილი პირი" ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

მინდობილი პირი უფლებამოსილია წარმოადგინოს მიმნდობი პირის ინტერესები სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, კერძოდ შპს „No12“-ს (ს/კ № 404406549) საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, უზნაძის N82-ში, N80-ში, მდებარე უძრავი ქონების რეკონსტრუქციის პროექტი, მოითხოვოს და წარადგინოს ყველა საჭირო ინფორმაცია/დოკუმენტი, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს/საბუთს და განახორციელოს ყველა საჭირო ქმედება, რაც აუცილებელია წინამდებარე მინდობილობით მიცემულ დავალების შესასრულებლად.

ეს მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს თამარ ბაქრაძის სანოტარო არქივში, ხოლო ორი ეგზემპლარი გადაეცა მიმნდობ პირს.

მინდობილობა გაცემულია ვადით ორი ათას ცხრამეტი წლის ოცდათერთმეტი დეკემბრის ჩათვლით, მესამე პირზე შემდგომი გადანდობის უფლების გარეშე.

მინდობილობაშეიძლება ვადამდე შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარისათვის წინასწარი შეტყობინებით.

ამ მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში თან ერთვის:

შპს „No12“-ს (ს/კ № 404406549) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილების № 507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე მუხლისა - 10 (ათი) ლარი: დღგ 1.80 (ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, ასევე ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების საფასური 2.00 (ორი) ლარი, თანახმად ზემოთ მითითებული დადგენილების 39-ე მუხლისა.

ნოტარიუსი: თამარ ბაქრაძე

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

31857461027119

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190267071

რეგისტრაციის თარიღი

13.03.2019 წ

ნოტარიუსი: თამარ ბაქრაძე
მისამართი: ქ.თბილისი დ/დიღომი ი.პეტრიწის ქ. N 16
ტელეფონი: 591 701 115; 322 43 28 70;

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18